2013 წელი, 7-13 თებერვალი
ფასი 1 ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№4 (598) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

განხილვისთვის

მასწავლებელთა მომზადების და კარიერული ზრდის კონცეფცია (სრული ვერსია)

გვერდი 3-5

მსოფლიო დიზერაციერის კლასიკოსების ახალი ფიფქები

ალბერ კოენი
დედაჩემი

ჯონ გოლზუორთი
რჩეული მოთხრობები



პროსპერ მერიმე
ილელი ვენერა

მარგერიტ დიურასი
საყვარელი
ჩრდილოეთ ჩინეთიდან

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

ინფორმაცია

* * *

გაზეთ „ახალი განათლების“ 2012 წლის 13-19 დეკემბრის №38 ნომერში გამოქვეყნდა პედაგოგთა მიმართვა მთავრობისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ 11 ნოემბერს პედაგოგთა საინიციატივო ჯგუფმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს 576-ე ბრძანების (რომლითაც საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები განისაზღვრება) შეცვლის, ან გადახედვის თხოვნით. ამ და სხვა საკითხების გამო, მინისტრთან პედაგოგების შეხვედრის სურვილი გამოთქვეს. მიმართვაში ამ საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელად ბ-ნი დავით ფერაძეა მოხსენიებული, ხოლო საინიციატივო ჯგუფის წევრად, რამდენიმე ჩემი სკოლის პედაგოგთან ერთად – მეც.

ამ ყველაფერში, თითქოს უცნაური არაფერია, რომ არა ერთი საინტერესო გარემოება: მე, საინიციატივო ჯგუფში ჩემი „დანინაურების“ შესახებ, ისევე, როგორც 24-ე საჯარო სკოლის ყველა ჩემმა კოლეგამ, ზემოთ მითითებული გაზეთიდან შევიტყვეთ.

საოცრებების მეტი რა ხდება ამ ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში, მაგრამ როცა ვინმეს რაიმე **„პეტიციის“** ხელმოსაწერთა შორის მოიხსენიებ, სულ ცოტა, უნდა შეატყობინო მაინც ამის შესახებ, მით უმეტეს, რომ სრულიადაც არ ვეთანხმები ამ მიმართვის ტექსტში მთავრობის მიმართ შანტაჟის ტონს, თითქოსდა **„ქვეყანაში არის საშიშროება გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ პედაგოგთა უკმაყოფილებით (რომელიც, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არაა) მანიპულირების“.**

რეალურად ყველაფერი ასე მოხდა: სკოლაში მიეიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბ-ნ მინისტრს თავად აქვს სურვილი პედაგოგებთან შეხვედრისა და ორგანიზაციული საკითხების შესათანხმებლად მინისტრთან შეხვედრის მსურველები იკრიბებოდნენ 166-ე საჯარო სკოლაში. მე და ჩემი კოლეგები, ქალბატონები – თამარ კამკამიძე, თეა ტყეშელაშვილი და ტატიანა შათირიშვილი სნორულ ამ განზრახვით გავემურეთ 166-ე სკოლისაკენ, სადაც, ცხოერებაში პირველად, და ჯერჯერობით უკანასკნელად, ვიხილე ამ სკოლის ისტორიის პედაგოგი, ბ-ნი დავით ფერაძე.

ბატონო დავით, თქვენი საქციელი, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არაპედაგოგიურია. მთლად საოცრება კი ისაა, რომ არც ეს იკმარეთ და მას შემდეგ, რაც ბუნებრივი უარი მიიღეთ ჩვენგან შემდგომ „თანამშრომლობაზე“, მისწერეთ წერილი ჩვენი სკოლის დირექტორს, ბ-ნ გია მურლულიას, სადაც გამოთქვით „აზრი“ იმის შესახებ, თითქოსდა მან **„დაგვაშინა და ამიტომაც უარს ვამბობთ იმ იდეაში მონაწილეობაზე, რომლის ავტორობასაც სიამოვნებით დავიჩემებდით ნინაალმდეგ შემთხვევაში“.**

ჯერ ერთი, ხელფასის მომატების მოთხოვნა რატომაა იდეა, ჩემთვის გაუგებარია და თუ ვინმე ამიხსნის, მადლობელი დაგრჩებით;

მეორეც, რაც შეეხება მიბს, უნდა მოგახსენოთ ბატონო ჩემო, რომ პირადად მე, დირექტორის კი არა, კარგა ხანია უფლის შიშიც აღარ მაქვს, რადგან, რამდენადაც შევძელი, შეეიყვარე იგი.

ხომ გაგიგონიათ, „რასაც პეტრე ამბობს პაველზე, ის პეტრეა და არა პაველი...“ ასე რომ, ბატონო დავით, იმ თქვენი „პეტიციის“ ტექსტსაც თუ გავითვალისწინებთ, თქვენ ბევრად უფრო შეგეხვართ „უფროსებისგან“ მართულს, ვიდრე ჩვენ.

დაბოლოს, რადგან პედაგოგები ვართ და საქართველოს ასე საჭირო განათლებული (ანუ განსწავლულთან ერთად პიროვნული თვისებებით გამორჩეული) შვილები უნდა აღვუზარდოთ, გთხოვთ მომაველისთვის გითვალისწინოთ (მზად ვარ ასე დავარქვა) ეს გაუგებრობა.

პატივისცემით,

გიორგი სიხარულიძე, №24 სკოლის პედაგოგი.

P.S. თუ არ ვცდები (მათემატიკის პედაგოგი გახლავართ) ბ-ნმა კონსტანტინე გამსახურდიამ ფარსმანს ათქმევინა ფრაზა: **გმირი უნდა იყო და ლაჩრად მოაჩვენოო თავი, ბრძენი უნდა იყო და შლეგად მოაჩვენოო თავი, ოსტატი უნდა იყო და – ხელმოცარულად,** და არა პირიქით ხალხო...

ინფორმაცია

„რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ“

კონკურსი მოსწავლეებისათვის

წელს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი აღინიშნება. მნიშვნელოვანია, რომ იუნესკომ 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოაცხადა. ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებს ორი სახის კონკურსის ჩატარებას სთავაზობს: პროექტების კონკურსს თემაზე „რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ“ და ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიულ თემაზე შექმნილი ბლოგების კონკურსს.

კონკურსების მიზანია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის პოპულარიზაცია, მოსწავლეთა კვლევის, ინფორმაციაზე მუშაობის, შეფასებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების წახალისება. ასევე, გუნდური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

პროექტებში წარმოდგენილი მასალები შეიძლება ეხებოდეს როგორც საყოველთაოდ ცნობილ და ისტორიოგრაფიაში ფართოდ გაშუქებულ მოვლენებს, ასევე ნაკლებად ცნობილ ფაქტებსაც.

კონკურსებში მონაწილეობის მიღება საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად. სამუშაოს შესასრულებლად მათ დაახლოებით 20 დღე ეძლევათ.

თითოეული სკოლა სამინისტროს თითო გამარჯვებულ პროექტს და ბლოგს (სურვილისამებრ) წარმოუდგენს. მათ სამინისტროში შექმნილი კომისია განიხილავს და 5-5 გამარჯვებულს გამოაცხადებს, რომლებიც დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციის პროცესი უფრო მოქნილი გახდა

2013 წლის გამოცდებზე რეგისტრაციისას აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ რამდენიმე თვის განმავლობაში ცვალონ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამები (ფაკულტეტები), მათი რაოდენობა და თანმიმდევრობა.

ცვლილებების განხორციელების საშუალება აბიტურიენტებს გამოცდის შედეგის გამოცხადების შემდეგაც ეძლევათ. პროცესი სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებასთან ერთად შეწყდება. ასეთი სისტემა აბიტურიენტს გაცილებით რეალისტური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს.

რეგისტრაციის პირველ ეტაპზე, რომლის ხანგრძლივობა, დაახლოებით, ერთი თვით განისაზღვრება, აბიტურიენტმა აუცილებლად უნდა აირჩიოს ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი, რომელსაც ვადის ამოწურვის შემდეგ ველარ შეცვლის.

2013 წელს აბიტურიენტებს შეეძლებათ განაცხადში მიუთითონ ყველა პროგრამა, რომელზეც მათ მიერ არჩეული გამოცდები ბარდება – ასარჩევი პროგრამების რაოდენობა შეზღუდული არ იქნება. ასეთი ცვლილება მეორადი ჩარიცხვების საჭიროებას მოხსნის.

მოიხსნება შეზღუდვები გრანტის განაწილების დროს იმ პროგრამებზე, სადაც მხოლოდ 100%-იანი დაფინანსება მოქმედებდა. წელს, ყველა პროგრამა თანაბარ პირობებში ჩადგება და შესაძლებელი იქნება 70%-იანი და 50%-იანი დაფინანსების მოპოვებაც. 30%-გრანტი 2013 წლიდან გაუქმდება.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის რეგისტრაცია 11 თებერვალს დაიწყება და ერთ თვეს გასტანს. რეგისტრაცია ინარმოებს პროფესიული უნარებისა და საგნობრივი გამოცდისათვის.

უცხოური ენისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდისათვის რეგისტრაცია მას მერე გამოცხადდება, რაც დადგინდება ამ გამოცდის ნონა და შედეგზე მიბმული დაფინანსების ოდენობა.

წელს, მაგისტრანტები ერთსა და იმავე საგამოცდო ტესტს აღარ ჩააბარებენ. მათთვის მიმართულებების მიხედვით მუშავდება სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები.

საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია მარტის დასაწყისში, აბიტურიენტების რეგისტრაციის პროცესთან ერთად დაიწყება.

2013 წლის გამოცდებისათვის რეგისტრაცია მხოლოდ ელექტრონულად, გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) ინარმოებს.

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა პირველი საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაატარა

SAT-ის ჩაბარების მსურველებმა ტესტირება 26 იანვარს ცენტრის შენობაში გაიარეს. გამოცდისათვის აპლიკანტები აზერბაიჯანიდანაც დარეგისტრირდნენ.

SAT ზოგადი უნარების ტიპის ტესტია და ამოწმებს აპლიკანტის აკადემიურ მზადყოფნას უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. SAT-ის ჩაბარება საყალდებულოა ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებისა და კოლეჯების უმეტესობაში და მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად.

გამოცდების ეროვნული ცენტრი კიდევ რამდენიმე საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებას გეგმავს.

საატესტატო გამოცდები 2013

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, 2012-2013 სასწავლო წელს, სკოლის გამოსაშვები გამოცდები, 4+4 მოდელით, ორ ეტაპად ჩატარდება.

პირველი ეტაპი 2013 წლის **15 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით გაიმართება, მეორე ეტაპი** – 2013 წლის **20 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით.**

კონკრეტულ საგანში გამოცდის ფორმის არჩევის და საგამოცდო განრიგის საკითხების შესახებ გადაწყვეტილებას თავად სკოლა იღებს.

გამოცდის ჩაბარების უფლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების **დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს და იმ პირებს** აქვთ, რომლებმაც სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევის მიუხედავად, შესაბამის წელს **სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ მოიპოვეს.**

პირი, რომელმაც სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევის მიუხედავად ვერ/არ ჩააბარა გამოცდები, მხოლოდ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რეგისტრირდება, რომელშიც სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაძლია. ასეთ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს 4+4 მოდელით და გამოცდები ორ ეტაპად ჩააბაროს, ან პირველ ეტაპზევე ჩააბაროს ყველა (8) დამამთავრებელი გამოცდა.

მოსწავლეებისა და ექსტერნების ინფორმირებასა და გამოცდებზე რეგისტრაციას სკოლა უზრუნველყოფს.

ნორვეგიასთან საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით, პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური განათლების დანერგვას ინყებს. შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ** და ნორვეგიის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **ერლინგ სკონსბერგმ** მოაწერეს.

საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა, ინკლუზიური განათლების მასშტაბების ზრდას ითვალისწინებს.

ორ ქვეყანას შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა ინყება.ნორვეგიის მთავრობა პროექტს მეთოდოლოგიურ და ფინანსურ მხარდაჭერას 3 წლის განმავლობაში განახორციელებს. გრანტის საერთო ღირებულებაა 1 873 845$. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანადაფინანსება, 3 წლის განმავლობაში კი 300 000$ იქნება.

ახალი პროექტის ფარგლებში, შემდეგი აქტივობები განხორციელდება: პროფესიული განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებში საჭირო ცვლილებების შეტანა; პროფესიულ სასწავლებლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოზიდვა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული ორიენტაციის მექანიზმისა და სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პოლიტიკის ლობირება; პროფესიულ სასწავლებლებში ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; პროფესიულ სასწავლებლებში ინკლუზიური პროფესიული განათლების საკითხებში ადამიანური რესურსის გაძლიერება; ზოგადი განათლების საფეხურზე წინაპროფესიული განათლების კომპონენტის პილოტირება.

პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლება კომპონენტის დანერგვა ხელს შეუწყობს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს დაეუფლონ მათთვის საინტერესო პროფესიას, დასაქმდნენ და იყვნენ კონკურენტუნარიანნი შრომის ბაზარზე.

გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია და კოლეგები ილოცავენ, რომ გარდაიცვალა განათლების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი

თინათინ ჭიჭაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

განხილვისთვის

მასწავლებელთა მომზადების და კარიერული ზრდის კონცეფცია
(სრული ვერსია)

განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისია
საინიციატივო ჯგუფი: გია დვალი, დავით ლორთქიფანიძე, ეკატა ბერეტიანი, ზაზა კოკაია;
ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულების სამუშაო ჯგუფი: ირინა აბულაძე, ია ანთაძე, გიორგი გახელაძე, სოფიო გორგოძე, თამარ მოსიაშვილი, მანანა რატიანი.

შინაარსი

1. საქართველოში მასწავლებლის პროფესიის მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა
2. მასწავლებლების რეკრუტირება [1]
3. საუნივერსიტეტო განათლება
4. კვალიფიკაციის მინიჭება
5. პროფესიაში შესვლა
6. უწყვეტი პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა
7. გარემო

1. საქართველოში მასწავლებლის პროფესიის მდგომარეობის მიმოხილვა

შემოთავაზებული მიმოხილვა ემყარება საქართველოში ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევების შედეგებს და სტატისტიკურ მონაცემებს.

„მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობის კვლევა" [2], **(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008):**

მასწავლებლების დეფიციტი: კვლევის შედეგების თანახმად, 2018 წლისათვის ქვეყანაში საჭირო იქნება 20 000 მდე ახალი მასწავლებლის მომზადება, იმ დაშვებით, რომ არსებული კონტინგენტი დატოვებს სამსახურს მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას; ამავე დოკუმენტის მიხედვით, თუ თბილისში მასწავლებელთა რაოდენობა საჭიროზე მეტია, რეგიონები განიცდიან მასწავლებელთა მკვეთრ დეფიციტს. რამდენიმე საგანში კატასტროფული მდგომარეობაა (მუსიკა, ფიზიკური აღზრდა, სამოქალაქო განათლება, ხელოვნება, დაწყებითი კლასების პედაგოგი), ასევე, არასახარბიელო მდგომარეობაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგების ნაკლებობის მხრივაც. [3]

მასწავლებლების სქესობრივ-ასაკობრივი თანაფარდობის, სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ 2012 წლის მონაცემები (წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდი: www.emis.ge):

სულ საქართველოში კერძო და საჯარო სკოლებში 69828 მასწავლებელია [4]. ასაკობრივი გადანაწილება ასეთია:

მასწავლებლების გადანაწილება ასაკის მიხედვით						
ასაკობრივი ჯგუფები	20 წელზე ნაკლები	20-30	30-40	40-50	50-საპენსიო [5]	საპენსიო
რაოდენობა	24	7057	16410	17756	18084	10497
ასაკობრივი ჯგუფების წილი საერთო რაოდენობაში	0.003%	10.10%	23.50%	25.43%	25.90%	15.03%

დედაქალაქსა და რეგიონებში 50 წლის და მეტი ასაკის მასწავლებლების ყველაზე დიდი ჯგუფია, ხოლო ნაკლებასაკიანი ჯგუფების რაოდენობა უფრო და უფრო მცირდება. მასწავლებლების ასაკობრივი თანაფარდობის შესახებ არსებული მონაცემები გულისხმობს, რომ ეს პროფესია ახალგაზრდებისთვის არ არის მიმზიდველი.

2008 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაკვეთით **განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა** ჩაატარა მასწავლებელთა არსებული ნაკადის კვლევა. აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ 2008 წელს მომუშავე მასწავლებელთა 67%-მა შეიძლება პროფესია დატოვოს უკეთესი შემოთავაზების პირობებში; მათთვის სკოლაში დარჩენის მოტივაცია 700-ლარიანი ანაზღაურება შეიძლება გახდეს.

სკოლაში დარჩენისთვის მინიმალური ანაზღაურებისა და სხვა სამსახურში გადასვლისთვის საკმარისი ანაზღაურების მონაცემები წარმოდგენილია ფინანსური ინტერვალების სახით.



დიაგრამა 1

შენიშვნები:

1. ნაცრისფერ სვეტებში მოცემულია იმ მასწავლებელთა პროცენტული რაოდენობები, რომლებმაც შეკითხვაზე: „რა არის ის მინიმალური ანაზღაურება, რომელიც თქვენთვის იქნებოდა სკოლაში მასწავლებლად დარჩენის საკმარისი პირობა?" – დაასახელეს განსაზღვრული თანხა (ასეთია მასწავლებელთა საერთო შერჩევის 67%).

2. შავ სვეტებში იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებმაც განსაზღვრული თანხა დაასახელეს სკოლაში დარჩენისთვის, წარმოდგენილია როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.

2006 წელს დამტკიცდა მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია [6] (საქართველოს მთავრობის დადგენილება N29 09 თებერვალი, 2006). მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, მასწავლებლობის უფლების მოპოვება შეეძლოთ განათლების ბაკალავრებსა და განათლების მაგისტრებს სკოლაში ერთწლიანი გამოსაცდელი პერიოდისა (მენტორ-მაძიებლობა) და სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ. განათლების ბაკალავრებს მხოლოდ დაწყებით კლასებში სწავლების უფლება ჰქონდათ, ხოლო განათლების მაგისტრებს – დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ამ მოსაზრების უკუგდება მალევე გახდა საჭირო, რადგან მაგისტრატურაში არ სწავლობს იმ რაოდენობით მასწავლებლობის მსურველი, რამდენის საჭიროებაცაა. ამდენად, შემდეგ წლებში ბაკალავრიატდამთავრებულებსაც მიეცათ მასწავლებლობის უფლება, თუმცა, მათ მენტორ-მაძიებლის პროგრამა უნდა გაევლოთ, ან ერთწლიანი სამუშაო სტაჟი დაეგროვებინათ, რომ შეძლებოდათ სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა.

ზემოთ ხსენებული მენტორ-მაძიებლობის პროგრამის გაევლა ან ერთწლიანი მასწავლებლად მუშაობის სტაჟი, 2007 წელს კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, მოითხოვებოდა მასწავლებლობის ყველა მსურველს სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლამდე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი წინასწარ შერჩეულ მენტორებთან (გამოცდილ მასწავლებლებთან, რომლებმაც შერჩევის ეტაპი და სპეციალური მოსამზადებელი პროგრამა გაიარეს) ერთ ან რამდენიმე მაძიებელს (მასწავლებლობის მსურველს) მიავლენდნენ. მენტორების და მაძიებლების საქმიანობას კოორდინაციას, მონიტორინგსა და კონტროლს უწევდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. გეგმის მიხედვით, 2014 წლამდე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს უნდა უზრუნველეყო, რომ ყველა სკოლას ჰყოლოდა სპეციალურად მომზადებული მენტორი, რათა მათ შეძლებოდათ მაძიებლების მიღება.

მენტორ-მაძიებლობის პროგრამის მცირე მასშტაბების გამო, იგი პროფესიაში შესვლის ბარიერად იქცა, ვინაიდან ყველა სკოლას არ ჰყავდა მენტორი და არ შეეძლო მიეღო მაძიებლობის მსურველი. შესაბამისად, ამ პრობლემის დარეგულირების მცდელობა იყო ახალი საკანონმდებლო ცვლილება 2012 წელს, რომლის მიხედვითაც ყველა უმაღლესდამთავრებულ ბაკალავრს პროფესიაში შესვლის უფლება მიეცა მაძიებლობის გავლის გარეშე.

მას შემდეგ, რაც მასწავლებლები იწყებენ მუშაობას, მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა ადგილზე. კვლევები უჩვენებს, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი პირველივე წლებში ტოვებს სამსახურს, თუ არ აქვს შესაბამისი მხარდაჭერა. მენტორ-მაძიებლობის პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ მასწავლებლებმა თავიანთი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება მოახდინონ, შეძლონ სკოლის კლიმატთან ადაპტირება, არ გაუნელდეთ შემდგომი ზრდისა და პროფესიული განვითარების მოტივაცია.

2008 წელს შემუშავდა და დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული [7] და საგნობრივი სტანდარტი [8], რომელმაც ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა როგორც მასწავლებელი, ასევე უმაღლესი სასწავლებლები. სტანდარტით მოთხოვნილ ცოდნასა და უნარებთან შესაბამისობა მასწავლებელმა სასერტიფიკაციო გამოცდაზე უნდა დაადასტუროს. სასერტიფიკაციო გამოცდაზე მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების დადასტურება არცთუ მარტივი აღმოჩნდა.

დღეისთვის მასწავლებელთა საერთო და სერტიფიცირებულთა რაოდენობა მოცემულია ცხრილში:

სულ მასწავლებლები	მ.შ. სერტიფიცირებულები	სერტიფიცირებულები მამრ.	სერტიფიცირებულები მდედრ.
69828	8606	394	8212

(წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა http://catalog.edu.ge/index.php?module=statistics&page=statistics&item-id=38).

არსებული სტატისტიკის თანახმად, სამი წლის განმავლობაში (2010-2012 წწ), 68584 პედაგოგიდან სერტიფიცირებულია 9,895 (14.38%) პედაგოგი. ამ ტენდენციის მიხედვით, საეჭვოა, რომ 2015 წლის 1 იანვრამდე მასწავლებლების სრული კონტინგენტი იყოს სერტიფიცირებული. კანონი კი, 2015 წლის იანვრიდან მასწავლებლობის უფლებისათვის მასწავლებლებს აუცილებელს იყვნენ სერტიფიცირებულები. ასევე, ამ მოსაზრებას ამყარებს ის რეალობა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება წელიწადში ერთხელ, დარჩენილია მხოლოდ 2 საგამოცდო ციკლი.

ამ ეტაპზე, ხარისხიანი სწავლების თვალსაზრისით, ბევრი პრობლემაა [9], მათ შორის:

- მოქმედი მასწავლებლების დაბალი მოტივაცია და დაბალი კომპეტენციები [10];
- მასწავლებელთა რაოდენობა და ასაკობრივი თანაფარდობა;
- მასწავლებლის პროფესიის არაპრესტიჟულობა;
- ერთიანი სააზროვნო სივრცის არარსებობა;
- მასწავლებლის სოციალური დაუცველობა;
- საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამების არაპრესტიჟულობა, ხარისხი და სახელმწიფოსგან ნაკლები მხარდაჭერა;
- რეპეტიტორობის ინსტიტუტი;
- პროფესიაში კარიერული ზრდის შესაძლებლობების არარსებობა;
- სკოლის დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ნაკლები მხარდაჭერა;
- საგანმანათლებლო რესურსების სიმწირე.

საქართველოში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და ზემოთ მოყვანილი სირთულეების დაძლევის მიზნით, აუცილებელია, გადაიხედოს პედაგოგების რეკრუტირების, საუნივერსიტეტო მომზადების, კვალიფიკაციის მინიჭების, პროფესიაში შესვლის, [illegible] პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესი. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში ხარისხის მართვას [11].

2. მასწავლებელთა რეკრუტირება

პროფესიონალი მასწავლებლების დეფიციტის შესაავსებად მნიშვნელოვანია პროფესიის პოპულარიზაცია. აღნიშნული გულისხმობს იმ სახელმწიფო პროგრამების გაძლიერებას, რომლებიც მიმართულია საუკეთესო კადრების მოზიდვისა და შენარჩუნებისკენ. სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული განათლების სისტემების კვლევები აჩვენებს, რომ მხოლოდ განათლების სისტემის დაფინანსების ზრდა, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება და მასწავლებელთა ხელფასის გაზრდა უმნიშვნელო გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე. სამწლიან პერსპექტივაში მოსწავლეთა მიღწევები მნიშვნელოვნად იზრდება იქ, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება პედაგოგის პროფესიაში მოტივირებული, მაღალი მოსწრების კურსდამთავრებულთა მოზიდვასა და მათ შემდგომ განვითარებაზე (მაგ: სამხრეთ კორეა პედაგოგის პროფესიაში მოიზიდავს სკოლის კურსდამთავრებულების საუკეთესო 5 %-ს წარმომადგენლებს, ფინეთი - საუკეთესოთა 10 %-ს, ხოლო სინგაპური და ჰონგ კონგი საუკეთესო - 30 %-ს). [12]

შესაბამისად, პროფესიის პრესტიჟის გაზრდა უნდა მოხდეს :

ა) მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამების ხარისხის გაზრდით და პროგრამებზე მიღების მკაცრი კრიტერიუმების დანესებით. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს იმის საშიშროება, რომ მიღების კრიტერიუმების გამკაცრებასთან ერთად, შეიძლება პირველ ეტაპზე შემცირდეს მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი. ამ რისკის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია, პირველ ეტაპზე აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ იმ აბიტურიენტებზე, რომელთაც საუკეთესო ქულები დააგროვეს ეროვნულ გამოცდებზე, არამედ უნივერსიტეტების მიერ განსაზღვროს დამატებითი შერჩევის კრიტერიუმები (მაგ: ინტერვიუები, სამოტივაციო წერილები და სხვ) და ამის საფუძველზე გამოვლინდნენ მოტივირებული კადრები. შერჩეული კონტინგენტის მაღალი ხარისხის საუნივერსიტეტო განათლებაზე ხელმისაწვდომობა კი სახელმწიფოს სპეციალური ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ბ) მასწავლებლად მუშაობის დაწყების პროცესი სკოლებში უნდა წარიმართოს გამჭვირვალედ და კომპლექსურად. თითოეული სკოლის ფარგლებში მასწავლებელი უნდა გადიოდეს

→ 4

განხილვისთვის

კონკურსს, რომელიც გულისხმობს როგორც საბუთების განხილვას, ისე გასაუბრებას. ამავდროულად, რეკრუტირების კამპანიებში მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროგრამების როლი[13].

გ) მასწავლებლების ანაზღაურების მინიმუმი (არასერტიფიცირებულის) ერთ მასწავლებელზე სასურველია შეადგენდეს მშპ-ს 100%-მდე ერთ სულ მოსახლეზე (ნელინადში 3098 დოლარია)[14] 2014 წლიდან. მშპ-ზე ხელფასის მიბმა უზრუნველყოფს ხელფასის ზრდას ეკონომიკის ზრდის პარალელურად. ამ და შემდეგი პუნქტის განსახორციელებლად საჭიროა სასკოლო დაფინანსების ბიუჯეტის ზრდა. მასწავლებლებისთვის ხელფასის ზრდის უზრუნველყოფა დაახლოებით 20 წლის პერსპექტივაში უნდა იყოს ცნობილი და მიბმული იყოს მშპ-ს.

ხელფასის ზრდა უნდა იყოს შესაძლებელი მასწავლებლის სტატუსის ამაღლებით, კარიერულ კიბეზე მისი წინსვლით, რომელიც უნდა ასახავდეს მისი კომპეტენციების ზრდას და მიბმული არ უნდა იყოს მასწავლებლად მუშაობის ხანგრძლივობაზე. მრავალი კვლევით დასტურდება, რომ მასწავლებლად მუშაობის ხანგრძლივობა არ გულისხმობს კომპეტენციების აუცილებელ ზრდას. განსაკუთრებით ნარჩინებულ მასწავლებელთათვის უნდა შეიქმნას განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

ე) პროფესიული ასოციაციების დაარსების, გაძლიერებისა და ფუნქციონირების დაწყების ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია ამ ასოციაციების ფარგლებში კონფერენციების, პუბლიკაციების, კონკურსებისა და პროფესიული სტანდარტების განვითარების მხარდაჭერა. ამის გაკეთება სასურველია საგრანტო პროგრამებით.

ზ) მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასწავლებლების სამუშაო პირობებზე ზრუნვა, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია მოქმედი მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად (ამ კუთხით გასაგარებელი ღონისძებები იხილეთ დოკუმენტის **უწყვეტი პროფესიული განვითარების ნაწილში**).

3. საუნივერსიტეტო მომზადება

2012 წლისათვის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათაგან ცხრა უნივერსიტეტი სთავაზობს აბიტურიენტებს განათლებაში (მათ შორის, დაწყებითი განათლება, ინკლუზიური განათლება, პედაგოგიკა) საბაკალავრო პროგრამას. თუმცა, პროფესიის არაპრესტიჟულობის გამო, ამ მიმართულებაზე მისაღები კონტინგენტის ოდენობა ძალიან მცირეა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში მასწავლებლობას იმ ფაკულტეტების კურსდამთავრებულები ირჩევენ (ქიმიკოსები, ფიზიკოსები და ა.შ), რომლებსაც უნივერსიტეტებში არ უსწავლიათ სწავლისა და განვითარების თეორიები და საგნობრივი მეთოდიკა. სპეციალიზებული პედაგოგიკის კურსის გავლის მოთხოვნა მომავალი მასწავლებლებისათვის უმნიშვნელოვანესია ძალაი ხარისხის, მოსწავლეზე ორიენტირებული ეფექტიანი სასწავლო პროცესისათვის. მასწავლებლის მოსამზადებელი უმაღლესი განათლების პროგრამა მასწავლებლობის მსურველებს პროფესიული მზაობის საშუალებას უნდა აძლევდეს. სტუდენტებმა უნდა მიიღონ მასწავლებლის პროფესიული და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა და აღიჭურვონ შესაბამისი უნარებით, რისთვისაც აუცილებელია, რომ უმაღლესის პროგრამები შესაბამისობაში იყოს საგანმანათლებლო სტანდარტებთან არა მხოლოდ დეკლარირებულად, არამედ რეალურად.

საუნივერსიტეტო პროგრამების მთავარი ხარვეზი თეორიის პრაქტიკისაგან მოწყვეტაა. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტებს მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ სკოლებთან, მასწავლებლის მომზადების პროგრამის კომპონენტი სასკოლო პრაქტიკა იყოს. სასკოლო პრაქტიკის ქმედუნარიანობისა და მასში მონაწილე მასწავლებლების მოტივაციისთვის შესაძლებელია, ამუშავდეს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს მასწავლებლის დაფინანსებას, ასევე შესაძლებელია მასწავლებელი ამ ტიპის საქმიანობის შედეგად იღებდეს კრედიტებს პროფესიული განვითარების პროცესში. ეინაიდან მენტორ-მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს სახელმწიფო, შესაძლებელია, სტუდენტები პრაქტიკას მათთან გადიოდნენ.

ყველა ქვემოთ აღნერილი საუნივერსიტეტო პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობა უნდა დადასტურდეს არა მხოლოდ უნივერსიტეტების შიდა, ხარისხის მართვის სამსახურების მიერ, არამედ განათლების ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრების შესაბამისი სამსახურების მიერ.

უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლობის კვალიფიკაციის მიღება შესაძლებელია:

ა) მასწავლებლების მომზადების პროცესში 60-კრედიტიანი მოდულის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ზოგადი საკითხების სწავლებას.

მეტი მოქნილობისთვის შესაძლებელია უნივერსიტეტებში ნახალისდეს/განვითარდეს 60-კრედიტიანი პროგრამის:

- ინტეგრირება ბაკალავრიატში (3+1),
- გავლა ბაკალავრის ხარისხის აღების შემდეგ (4+1),
- გავლა მაგისტრატურის ფარგლებში (4+1+1).

4. კვალიფიკაციის მინიჭება

დღეს ნებისმიერ უმაღლესდამთავრებულს შეუძლია ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა და მოიპოვოს მასწავლებლობის უფლება. ვფიქრობთ, ეს ინიციატივა უნდა მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ ერთნლიანი (60-კრედიტიანი) მასწავლებლის მომზადების პროგრამა საბალდებულო გახდეს. მხოლოდ ამ კურსის გავლის შემდეგ უნდა მიეცეთ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და მასწავლებლის უფლების მოპოვების საშუალება იმ ადამიანებს, რომლებიც სასკოლო საგნების რელევანტურ სპეციალობებზე სწავლობდნენ ბაკალავრიატში.

სერტიფიცირება ამჟამად მოიაზრებს მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მომავალში (2015 წლიდან) სერტიფიცირების კომპონენტები იყოს გასაუბრება და მასწავლებლის პორტფოლიოს შემონმება. მასწავლებლის პორტფოლიოში შეეა მენტორ-მაძიებლობის დროს დაგროვილი ნამუშევარი, ან სკოლაში პრაქტიკასთან დაკავშირებული გამოცდილების დოკუმენტაცია. ნამუშევრებთან ერთად უნდა იყოს მის მიერ ჩატარებული რამდენიმე გაკვეთილის ვიდეომასალა. ინტერვიუები და პორტფოლიოს შემონმება უნდა მოხდეს განათლების ექსპერტების მიერ, რასაც ორგანიზებას გაუწევს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2015 წლამდე მიზანშენონილად არ მიგვაჩნია ამ ცვლილებების შეტანა, რათა არსებული სერტიფიცირების ნესით ამ პროცესში ყველა მასწავლებელი თანასწორ პირობებში იყოს ჩაყენებული და მათ წინასწარ ჰქონდეთ ინფორმაცია მოსალოდნელ ცვლილებებზე, რაც სიახლეებისადმი მათ მზაობას აამაღლებს.

ხოლო რაც შეეხება იმ მასწავლებლებს, რომლებიც უკვე სერტიფიცირებულნი არიან, კარიერული კიბის შემდეგ საფეხურზე გადასვლისათვის, სხვა მოთხოვნებთან ერთად, მათ დაემატებათ პორტფოლიოს ნარდგენის მოთხოვნა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს განსაკუთრებით ნარმატებული მასწავლებლების ნახალისების შესაძლებლობა (ეხმიანება პოზიტიური დიფერენციალის ცნებას). მაგალითად შემოღებულ იქნას გამორჩეული მასწავლებლის სერტიფიკატი. ეს სერტიფიკატი იქნება სრულიად ნებაყოფლობითი. ამ სტატუსის მინიჭებაზე კეთდება სპეციალური მოთხოვნა მასწავლებლის, სკოლის, რესურსცენტრის, მუნიციპალიტეტის ან სხვა დაინტერესებული ჯგუფების მიერ. სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში, მასწავლებელი მიიღებს გარკვეულ სარგებელს (მაგ. მიიღებს სტიპენდიას ან დაუფინანსდება სასურველი პროფესიული განვითარების კურსი საზღვარგარეთ).

დღეს ამ ტიპის სერტიფიცირებად შეიძლება მოვიაზროთ ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდა, რომლის ჩაბარების შემთხვევაში მასწავლებლის ანაზღაურება იზრდება 1000 ლარამდე. თუმცა, პრობლემა ის არის, რომ ინგლისურის და კომპიუტერის გამოცდაზე მიღებული ქულა რეალურად არანაირად არ განსაზღვრავს, რამდენად ეხმარება ეს ცოდნა და უნარები მასწავლებელს კლასში, ან რამდენად ეფექტურად იყენებს იგი ამ უნარებს სწავლების პროცესში.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული სერტიფიცირება კი დაეყრდნობა არა გამოცდას, არამედ მასწავლებლის განსაკუთრებულ მიღწევებს, რისი კრიტერიუმებიც კონკრეტულად გაიწერება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შექმნილი კომისიის მიერ და შეთანხმდება დაინტერესებულ მხარეებთან. ასეთი მასწავლებლების კატეგორიაში შეიძლება მოხვდნენ ისინი, ვინც მაგ: 1) სწავლება დაიწყო განსაკუთრებით რთულ კლასში და ორ-სამ წელინადში საგრძნობლად გააუმჯობესა მოსწავლეთა მიღწევები, 2)კოლეგებისათვის დანერა პროფესიული განვითარების სახელმძღვანელო კრიტიკული თუ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე და ა.შ. ამ მასწავლებლის შეფასება იქნება მრავალმხრივი და აქცენტი გაკეთდება კლასში მისი სწავლების მეთოდების ეფექტურობაზე, გარდა ამისა მოხდება შემოქმედი და მკვლევარი მასწავლებლის ნახალისება. ეს ინიციატივა უბიძგებს განსაკუთრებით კარგ კადრებს, რომლებიც შემდგომი განვითარების გზებს სკოლაში ვერარ ხედავენ, გამოსცადონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი (პოზიტიური დიფერენციალი).

რაც შეეხება არასერტიფიცირებულ მასწავლებლებს იმ სკოლებში, სადაც განსაკუთრებით რთულია სერტიფიცირებული მასწავლებლის მოზიდვა: შესაძლებელია, ამოქმედდეს ამ პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამები. ამ პროგრამების ფარგლებში არასერტიფიცირებული მასწავლებლების კომპეტენციები შეფასდება ეტაპობრივად (მენტორის, ტრენინგპროვაიდერის, სკოლის ადმინისტრაციის, პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ).

5. პროფესიაში შესვლა

მენტორ-მაძიებლობა

მენტორ-მაძიებლობის რგოლის გაძლიერება მნიშვნელოვანია, როგორც მომავალი მასწავლებლის მხარდამჭერი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდა კადრების პროფესიასთან ადაპტირებას და მათი სკოლიდან ნასვლის შანსს ამცირებს. სახელმწიფო პასუხისმგებლობას იღებს, ყველა მუნიციპალიტეტში პყავდეს „მენტორი" მასწავლებელი (პირველ ეტაპზე, სასურველია, მინიმუმ ერთი მენტორი მაინც თითოეული საგნობრივი ჯგუფისთვის), რაც გულისხმობს თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ გამოცდილ მასწავლებელს, რომელიც გამოცდილებას უზიარებს ახალბედა მასწავლებელს და, შესაბამისად, მუდმივად ზრუნავს საკუთარ პროფესიონალიზმზეც.

ამ გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ მასწავლებელი აბარებს სასერტიფიკაციო გამოცდას. მნიშვნელოვანია, მაძიებელს სახელმწიფო უხდიდეს ხელფასს, როგორც დამწყებ მასწავლებელს. სხვა შემთხვევაში, მაძიებლობის გავლა ჩაითვლება კიდევ ერთ ბარიერად მასწავლებლის კარიერაში, რადგან მასწავლებელს რეალურად მუშაობის დაწყებისათვის კიდევ ერთი გამოსაცდელი ნელი ემატება.

მეცნიერ-მკვლევარები და სახელმწიფო პროგრამების მონაწილეები

მეცნიერ-მკვლევართათვის [15], რომელთა სპეციალობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს შეესაბამება, პროფესიაში შესვლა მოხდება გაოლებული გზით. სახელმწიფო აღიარებს მათ საგნობრივ ცოდნას, შესაბამისად, აღარ ექნებათ სერტიფიცირებისას მოთხოვნილი საგნობრივი გამოცდის ჩაბარების ვალდებულება. თუმცა, მათ უნდა დაადასტურონ პედაგოგიური უნარების ფლობა. ეს შეიძლება მოხდეს შემდეგი სამი გზიდან ერთ-ერთის არჩევით: 1. არსებული 60-კრედიტიანი მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის გავლით; 2. მეცნიერ-მკვლევართათვის სპეციალურად შემუშავებული, მათ საჭიროებებზე მორგებული მოკლევადიანი და ინტენსიური პროგრამის გავლით, სადაც აქცენტი გაკეთდება სასწავლო გეგმაზე, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე და სწავლების მეთოდებზე; 3. პროფესიული უნარების გამოცდაზე კვალიფიკაციის დადასტურებით. *მეცნიერ-მკვლევარს ეხსნებათ სკოლაში მაძიებლობის მოთხოვნა.*

მაძიებლობის პროგრამის გავლის მოთხოვნა ეხსნებათ იმ ადამიანებს, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სკოლაში სწავლება იყო გათვალისწინებული (ასწავლე საქართველოსთვის, ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის დ.ა.შ.[16]).

მათ სასერტიფიკაციო გამოცდებზე მოუწევთ კვალიფიკაციის დადასტურება.

6. უწყვეტი პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა

კვალიფიკაციის ამაღლება პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის მუდმივად უნდა იყოს შესაძლებელი და ასევე მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მოტივაცია, გამოიყენოს ეს შესაძლებლობა. უნივერსალური მიდგომა ყველა მასწავლებელს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას გაიზარდოს პროფესიულად ტრენინგების, სემინარების, მასტერკლასების, კონფერენციების გზით და მეცნიერებთან თანამშრომლობით. გარდა ამისა, უნდა გამოვლინდნენ და ნახალისდნენ განსაკუთრებული მიღწევების მქონე მასწავლებლები და მიენიჭოთ შესაბამისი სტატუსი (მაგ. **excellent cluster**-ში დაჯგუფება). ეს იქნება დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია პოზიტივზე.[17]

არსებული მდგომარეობით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი არის მსხვილი მოთამაშე, რომელიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება მასწავლებელთა მომზადების და განვითარების მიმართულებით. სახელმწიფო ცენტრალიზებული მეთოდებით ვერ გადის საჭირო მასშტაბებსა და ხარისხზე. შესაბამისად, საჭიროა არსებული მოდელის გადახედვა და პროფესიული განვითარების მომსახურების დეცენტრალიზაცია, რათა ეფექტურად და მიზანმართულად მოხდეს მასწავლებელთა მომზადება და გადამზადება.

უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სისტემის მოქნილობისა და ეფექტურობისათვის საუკეთესო საშუალებაა დამოუკიდებელი, თვითრეგულირებადი პროფესიული ასოციაციების საქმიანობა. ერთი მხრივ, ასეთი ასოციაციები არის პროფესიაში ნარმატებულთა გამოვლენის, პროფესიაში მყოფი ადამიანების მიერ ერთმანეთის განვითარებაზე ზრუნვისა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობის გამოცდილი შესაძლებლობა.

დეცენტრალიზაციის ფარგლებში უნდა შეიცვალოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დაფინანსების მოდელი და განისაზღვროს თითოეულ მასწავლებელზე გამოსაყოფი თანხა, რომელსაც ის კონკურენტუნარიან ბაზარზე გამოიყენებს და გააკეთებს არჩევანს მისთვის საინტერესო მომსახურების სასარგებლოდ.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ საჭიროებების კვლევის, მოთხოვნების ანალიზისა და მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს პროფესიული განვითარების პროგრამების დაკვეთა პროვაიდერებისთვის (უნივერსიტეტები, ასოციაცია და სხვ). უნდა დაიგეგმოს განსახორციელებელი ინტერვენციები. ცენტრი ითანამშრომლებს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან პროვაიდერების მიერ მომზადებული პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის შესაბამისობის დასადგენად არსებულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

დეცენტრალიზაციის პროცესის გარდამავალ ეტაპზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შესაძლოა ჩაატაროს მიზნობრივი ტრენინგები არსებული დეფიციტის შესავსებად. ამის საჭიროება შეიძლება იყოს: ა) დროებით, ვიდრე პროვაიდერების მიერ მომზადდება ტრენინგ-მოდულები და პროგრამები; ბ) ნებისმიერ ეტაპზე, თუკი ხარისხი არ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, ან არ იარსებებს შესაბამისი შემოთავაზებები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა - ამ ეტაპზე არსებული პროგრამა გულისხმობს უკვე სერტიფიცირებული მასწავლებლების ჩართვას სქემაში, რაც საშუალებას იძლევა, მასწავლებელმა განსხვავებული 7 აქტივობით დააგროვოს შესაბამისი კრედიტების მოცულობა, რაც 8 წელინადში მას საშუალებას მისცემს, არ განიახლოს სერტიფიკატი გამოცდაზე გასვლით, ამასთან ერთად, აიმაღლოს სტატუსი და გახდეს პირველი კატეგორიის მასწავლებელი. მომდევნო 8 ნლის მანძილზე მას შეუძლია უმაღლეს კატეგორიას მიაღწიოს. მასწავლებლების გამოხმაურებით, მათი არჩევანის, ან კრიტიკული დამოკიდებულების მიზეზი არის პროგრამის ვადები: 16 ნელი საშუალო და საშუალოზე მაღალი ასაკის მასწავლებლებისთვის აბსოლუტურად მოულებელია. ასევე, არ არსებობს გარანტია, რომ განათლებაში სტაბილურად გაგრძელდება პოლიტიკა და სქემაც არ გაუქმდება. 8-ნლიანი პერიოდი საერთაშორისო გამოცდილებით არ დასტურდება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ატარებს კვლევას სქემაში ცვლილებების შესატანად.

არსებული სქემა უნდა გადახალისდეს, რათა გაიზარდოს მასწავლებელთა მასში ჩართვის მოტივაცია:

- შემცირდეს კატეგორიების მიღნევის დრო და ნაცვლად 8+8, გახდეს 4+4;
- გამრავალფეროვნდეს ის აქტივობები, რომლებსაც კრედიტები მიენიჭება;
- გადაიხედოს კრედიტების მინიჭების სქემა;

განხილვისთვის

• აღმოიფხვრას უსამართლობა, რომლის მიხედვითაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მასთან არსებული სსიპ-ების მიერ განხორციელებული ტრენინგები თუ სხვა სასნაულო პროგრამები ორჯერ მეტი კრედიტის მომტანია, ვიდრე სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული;

• წინასწარ განისაზღვროს, თუ როგორ შეიცვლება მასწავლებლის დანამატი კატეგორიების მიღწევისას და გაიზომოს მშპ-ის მიხედვით. აღნიშნული ცვლილება მასწავლებელთა ჩართვის მოტივაციას გაზრდის;

• კატეგორიების მინიჭება მოხდეს საქმიანობების და არა რესერტიფიცირების ვადის შესაბამისად;

• მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, თუ მასწავლებელი მიაღწევს უმაღლეს კატეგორიას, ეს მიღწევა გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც მისი პროფესიული ზრდის სერიოზული საფუძველი; ამ ტიპის ადამიანების მონაწილეობა სკოლის პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებში და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში (მენტორებად და ტრენერებად) დამატებით მოტივაციას გაუჩენს მასწავლებლებს, ჩაერთონ პროცესში.

მნიშვნელოვანია მასწავლებლების წინარე და პროფესიული განვითარების ტრენინგის ფორმების გაუმჯობესება შემდეგი გზებით:

• სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ტრენინგები (თანასწორი განმანათლებლები, მოწვეული ტრენერები, კონსულტანტები და სხვ.).

• სკოლის გარეთ, უნივერსიტეტებისა და სხვა ასოციაციების მიერ ორგანიზებული სემინარები, ტრენინგები, კონფერენციები და სხვ.

• კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერა უნდა იყოს დიფერსიფიცირებული, მასწავლებლების საჭიროებიდან გამომდინარე. დაფინანსების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლისა და სკოლის საჭიროებას, შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს ქალაქისა და სოფლის სკოლებისთვის. საერთაშორისო ან ადგილობრივი შეფასებებით, სადაც ცუდი შედეგები გვაქვს, სასურველია მეტი მხარდაჭერა და მეთვალყურეობა.

კარგი იქნება სკოლებისთვის საგრანტო სისტემა, როდესაც სკოლა მოითხოვს და მართავს გრანტს საკუთარი თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით.

7. მარეგი

სისტემაში პროფესიონალი მასწავლებლების რაოდენობის ზრდისა და სნაულა-სნაულების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია გადაიხედოს სასკოლო გარემო და დაიგეგმოს მისი რეფორმირებისთვის საჭირო პროგრამები.

სკოლების თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან

მნიშვნელოვანია სკოლების თანამშრომლობა სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ინსტიტუციებთან, რათა შეიქმნას ერთიანი სააზროვნო სივრცე, რაც შეამოკლებს მანძილს მოსნავლესა და უახლეს სამეცნიერო ცოდნას შორის და ხელს შეუწყობს მოსნავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

აღნიშნული თანამშრომლობის განხორციელება შესაძლებელია მოხდეს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებით, სასნავლო-შემეცნებითი ვიზიტებით კელეევით ლაბორატორიებში, სამხატვრო სახელოსნოებში, მუზეუმებში. სასურველია ამ დაწესებულებებს ჰქონდეთ სპეციალურად შემუშავებული სასნავლო-შემეცნებითი პროგრამები, რომლის შექმნაში ჩართავენ სკოლის მასწავლებლებს და რომლებსაც შემდგომში გამოიყენებენ მსგავსი ვიზიტებისას.

მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერ-მკელეევარების მიერ ჩატარდეს საჯარო ლექციები როგორც მასწაელებლებისათვის, ასევე მოსნაველეებისათვის.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი კელეევითი პროექტები მნიშვნელოვნად წაადგება როგორც კონკრეტულ მასწავლებელს, ასევე სკოლას. აქ ძირითადად ეგულისხმობთ ეგრეთ წოდებულ პრაქტიკულ კელეევას. პრაქტიკული კელეევა მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საშუალება გამოვიკვლიოთ სკოლაში სნაველა-სნაველების პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები და მოვძებნოთ მათი გადაჭრის გზები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ნახალისდენ რათა სკოლებში მასწავლებლებთან თანამშრომლობით ჩაატარონ პრაქტიკული კელეევები.

მასწავლებლების აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის გაძლიერება

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები, გარდა ანგარიშვალდებულებისა, ასევე ფლობდნენ თავისუფლებასაც საკუთარი მიდგომების, რესურსების, პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შერჩევაში. შესაძლოა, თავისუფლების ხარისხი არ იყოს ყველასთვის ერთგვაროვანი. შესაძლოა, იმ სკოლებში, სადაც ცნობილი იქნება, რომ მოსნაველეები ცუდ შედეგებს აჩვენებენ, თავისუფლების ნაკლები ხარისხი იყოს და საჭირო იყოს სახელმწიფოს მხრიდან ფრთხილი ჩარევა. სიფრთხილე საჭიროა იმისთვის, რომ არ მოხდეს მასწავლებლების მხრიდან პასუხისმგებლობების სახელმწიფოსთვის გადაბარება. მნიშვნელოვანია, რომ მკაცრად განსაზღვრულმა მიდგომებმა არ გამოიწვიოს მასწავლებლების პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შემცირება და დემოტივირება.

მასწავლებლების სამუშაო პირობებზე ზრუნვა

მასწავლებლების სამუშაო პირობებზე ზრუნვა არა მხოლოდ პროფესიის მიმზიდველობას ზრდის, არამედ მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას და ეფექტურობასაც. სამუშაო პირობების გაუმჯობესებაში იგულისხმება როგორც ინფრასტრუქტურის, ისე სოციალური გარემოს და დატვირთვის გაუმჯობესება.

ინფრასტრუქტურული ცვლილებები

ყველა სკოლაში მასწავლებლებს უნდა შეექმნათ საკმარისად კომფორტული გარემო სამუშაოდ. მასწაელებელს, ან მასწავლებელთა ჯგუფს, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში, უნდა ჰქონდეთ საგანმანათლებლო საკითხებზე მუშაობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. ეს გულისხმობს მასწაელებლებისთვის პერსონალური სამუშაო სივრცის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებლებისათვის განკუთვნილი კომპიუტერით, ინტერნეტით, სამუშაო მაგიდით. ეს შესაძლებლობას მისცემს ყველა მასწავლებელს, რომ მოსნაველეებთან კონკურენციის გარეშე (კომპიუტერულ ლაბორატორიაში გაკვეთილების შემდეგ მუშაობა) იმუშაოს ახალი მასალების მოძიებაზე, შექმნასა და გავრცელებაზე; ასევე, მართვის ელექტრონული სისტემების გამოყენებაზე და სხვ. სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, ყველა სკოლაში იყოს მასწავლებლის ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე საგანმანათლებლო ლიტერატურით.

სოციალური გარემო

მასწავლებლებს შორის, მასწავლებლებსა და დირექციას შორის ნდობისა და პროფესიონალური ურთიერთობების დასამყარებლად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სკოლებში როგორც მასწავლებლებს, ასევე სკოლასა და მშობლებს შორის, ადგილობრივ თემთან, ასევე, შესაძლებელია ახალი მექანიზმების დანერგვა: ესენია პრაქტიკული კელეევის პროექტები, მასწავლებლების მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელება სკოლებში, მასწავლებელთა დაჯილდოება და ა.შ.

დატვირთვის პრობლემა

განსაკუთრებით ქალაქების დიდ სკოლებში, იმ საგნებში, რომელთა სნაველება მცირე რაოდენობის საათებს მოიცავს, სრული დატვირთვისას, თითოეული მასწავლებელი ასნაველის გაუმართლებლად ბევრ მოსნაველეს. მაგ. გეოგრაფია VII-XI კლასებში ისნაველება კვირაში 2 საათი. კვირაში სრული დატვირთვისთვის (18 საათი) მასწავლებელი ასნაველის კვირაში 9 ჯგუფს. თუ ჯგუფში დაახლოებით 30 მოსნაველეა, გამოდის, რომ მასწავლებელი ასნაველის ერთი კვირის განმავლობაში 270 სხვადასხვა მოსნაველეს. გარდა ამისა, თუ ის VII-XI კლასებს ასნაველის, გამოდის, რომ მას თითოეულ კვირაში 5 სხვადასხვა პროგრამის მასალისა და დავალებების მომზადება უნევს. მსგავსი ვითარებაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ასეთ ვითარებაში მასწავლებლების უმეტესობას არ აქვს შესაძლებლობა, მოსნაველეებს პერსონალურად გამოეხმაუროს მათ მიერ შესრულებულ დავალებებთან დაკავშირებით (ანუ განმავითარებელი შეფასება მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს ატარებს და რეალობაში ვერ ხორციელდება). შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სნაველის ხარისხი მაღალი იქნება. სამაგიეროდ, მეტად სავარაუდოა მასწავლებლების გადაღლა, პროფესიით უკმაყოფილება და შედეგად, გადინება.

მასწავლებლების დამხმარე რესურსები

უნყვეტი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მრავალფეროვან რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. გლობალიზაციის პირობებში გაზრდილმა ინფორმაციის ნაკადმა შეამცირა წიგნებზე ხელმისაწვდომობის პრობლემები, თუმცა, მასწავლებლებს აქვთ ენობრივი ბარიერი. ამის გამო, საჭიროა თანამედროვე, ხარისხიანი პედაგოგიური და საგნობრივი ლიტერატურის თარგმნა. მოოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, 2009-2010 ნელს ითარგმნა, გარედაქტირდა და გამოსაცემად მომზადებულია 67 წიგნი - საგანმანათლებლო ლიტერატურა, რომელიც დღემდე არაა ხელმისაწვდომი სკოლებისთვის, რადგან არ გამოცემულა. ასევე აუცილებელია ადგილობრივი ავტორების ხელშეწყობა დაგროვილი გამოცდილების გასაზიარებლად. სასნაველო რესურსები შეიძლება იყოს ნაბეჭდი, აუდიო და ვიდეო ფორმატის. სასურველია, მოხდეს პედაგოგთა საჭიროებების კელეევა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა რესურსებთან მიმართებაში (ლიტერატურის თარგმნა, ახალი დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა და ა.შ).

მასწავლებლების დაცვა

მნიშვნელოვანია მასწავლებლების დაცვის ახალი სისტემების შემოღება. ხშირია მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის, ან მასწავლებლებს შორის კონფლიქტები. წინა ნლებში იყო შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები ჩიოდნენ პარტიული შეხედულებების გამო მათი გათავისუფლების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ განვითარდეს მედიაციის რგოლები (პროფესიული ასოციაციები, პროფესიული კავშირები და სხვ.). ასევე შესაძლებელია, არსებობდეს რაიმე კომისიები სკოლის ფარგლებს გარეთ, რეგიონულ დონეზე, რომლებიც სკოლის შიდა პოლიტიკური სიტუაციისგან დამოუკიდებლად შეძლებენ დავების განხილვას და რეკომენდაციების შემუშავებას. ამგვარ კომისიებში შესაძლოა შედიოდნენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, რომლებიც მაღალი ნდობით სარგებლობენ. ამ კომისიებს შესაძლოა არც ჰქონდეთ რაიმე ნორმატიული გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაგრამ მათი რეკომენდაციის გათვალისწინება სასურველი უნდა იყოს სკოლისთვის, მათ რეკომენდაციას ასევე უნდა ითვალისწინებდეს სამინისტროც. შესაძლოა, იგივე კომისია მონაწილეობდეს სკოლებისთვის გამოყოფილი საგრანტო დაფინანსების კონკურსების ჩატარებაში, დირექტორების კანდიდატების შერჩევაში და სხვ.

დღეს მოქმედი მასწავლებლების დიდმა ნაწილმა, საქართველოსათვის უმძიმეს ნლებში, სკოლებში სასნაველო პროცესის შეუფერხებლად ნარმართვა უზრუნველყო, მიუხედავად უმძიმესი გარემო პირობებისა და უხელფასობისა. სახელმწიფო მადლიერებით უნდა მოეკიდოს საკითხს და უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიიდან ღირსეული ნასვლა, რაც პენსიის სახით გულისხმობს ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილის (მაგ: 75%) შენარჩუნებას. მასწავლებელთა საპენსიო სქემის ამუშავება სასურველია მოხდეს 2015 ნლიდან, მაშინ, როცა ძალაში შევა პროფესიის რეგულაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა მექანიზმები.

რეპეტიტორი მასწავლებლები

მასწავლებლების ნაწილი გაკვეთილების შემდეგ რეპეტიტორობას ეწევა. ეს რამდენიმე მიზეზით არის პრობლემატური:

მასწავლებელი ნაკლებ დროს უთმობს ძირითად მოვალეობას - გაკვეთილების დაგეგმვას, ნაშრომების გასნორებას, უნყვეტ პროფესიულ განვითარებას;

მასწავლებელი, რომელიც საკუთარ მოსნაველეებს ასნაველის, დაინტერესებულია სკოლაში მათი ნარუმატებლობით იმისთვის, რომ რეკრუტირება შეძლოს კერძო გაკვეთილებისთვის.

შესაძლოა, ერთი გზა იყოს სკოლების მხარდაჭერა გახანგრძლივებული პროგრამების თვალსაზრისით, სადაც ამ რეპეტიტორების დასაქმების შესაძლებლობა უკვე ოფიციალურად იქნება. ასევე შესაძლოა, მშობლების ნაწილი გარკვეულ თანხასაც კი იხდიდეს. თუმცა, ეს პროგრამები უფასო უნდა იყოს სკოლის/სახელმწიფოს ხარჯზე სოციალურად დაუცველებისთვის, ან მათთვის, ვისთვისაც გადასახადის გადახდა მძიმე ტვირთია.

ზოგადი განათლების რეფორმის სამუშაო ჯგუფი ასევე მუშაობს ზოგადი განათლების სისტემის მართვის კონცეფციაზე, რომელიც ეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. აკაც გამოყენებული იქნება როგორც უნივერსალური, ასევე დიფერენცირებული მიდგომები. ერთი მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები უნდა აკმაყოფილებდეს სნაველა-სნაველებისათვის შესაფერის სტანდარტებს. მეორე მხრივ, იქმნება ნარჩინებულ სკოლათა ჯგუფი *(excellence cluster)*, რომლის წევრებიც სარგებლობენ დამოუკიდებლობის მეტი ხარისხით. სნორედ ამგვარი დიფერსიფიცირებული მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სტანდარტების ერთგვაროვნებას და, ამავდროულად, ნაახალისებს სკოლებს, რომ ნარჩინებულ სკოლათა ჯგუფის წევრები გახდნენ.

მასწავლებელთა მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის კონცეფციის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო სიმონ ჯანაშიამ, რომელსაც სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის განეული შრომისთვის.

სამუშაო ჯგუფი, აგრეთვე, მადლობას უხდის მარიკა კაპანაძეს კომენტარებისთვის.

2013 ნელი, 9 იანვარი

[1] რეკრუტირება-უნივერსიტეტებში მასწავლებლობის მსურველთა მოზიდვა
[2] http://www.issa-georgia.com/sites/issa/files/uploads/attachments/maswavlebeli.pdf
[3] შენიშვნა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წელსაც ტარდება ანალოგიური კელეევა რაოდენობრივი დეფიციტის დასაზუსტებლად, რაც კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას, მონაცემების დინამიკაში ანალიზისა და შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს.
[4]http://catalog.edu.ge/index.php?module=statistics&page=statistics&item-id=43(ნანახია 2012 ნლის 16 ნოემბერს)
[5] ქალებისთვის 60 ნელი, მამაკაცებისთვის - 65
[6] http://www.government.gov.ge/index.php?lang-id=E&sec-id=96&info-id=26492
[7] http://tpdc.ge/?action=page&p-id=100&lang=geo
[8] http://tpdc.ge/?action=page&p-id=109&lang=geo
[9] სასურველია, დაიგეგმოს კელეევა იმ პრობლემების შესასნაველად, რაც აფერხებს ხარისხიან სნაველა-სნაველების პროცესს. აქ მოყვანილი პრობლემები მხოლოდ გამოცდილების, უცხოური კელეევების და ქართული კელეევების იმ ნაწილიდანაა ამოღებული, რომლებიც ხარისხიან სნაველებას ირიბად ეხება.
[10] სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობისა და მასწავლებლების საერთო რაოდენობის თანაფარდობა.
[11] სკოლაში ხარისხის მართვის კომპონენტი აღნერილი იქნება დოკუმენტში, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.
[12] http://www.education.gov.uk/inthenews/inthenews/a0078044/government-sets-out-plans-to-attract-the-best-graduates-into-teaching
[13] საქართველოში 2009 ნლიდან მოქმედებს მასწავლებელთა რეკრუტირების სახელმწიფო პროგრამები „ასნავლე საქართველოსთვის", „ვისნაველოთ ქართული, როგორც მეორე ენა" და „ქართული ენა მომავალი ნარმატებისთვის".
[14] http://www.globalpropertyguide.com/Asia/Georgia/gdp-per-capita
[15] კომუნიკე, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების კონცეფციის პროექტი, 2012, გვ 17-18.
[16] არსებული პროგრამებიდან ასეთად შეგვიძლია მიეიჩნიოთ: **ასნავლე საქართველოსთვის** - საქართველოს რთულ რეგიონებში ახალგაზრდა, ენერგიული და მოტივირებული სპეციალისტების მიზიდვა; **ვასნაველოთ ქართული, როგორც მეორე ენა** - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სნაველება; **ქართული ენა მომავალი ნარმატებისთვის** - ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სნაველების ხელშეწყობა, ბილინგვური სნაველების დანერგვა.
[17] ეს ასევე გულისხმობს მასწავლებლის ახალგაზდელი უნ
ცირებას მიღწევის დონეების მიხედვით.

→ 6

→ 8

თვალსაზრისი

ყივჩაღის სახე ქართულ პოეზიაში

ხალხური პოეზიის ბრწყინვალე შედევრის, „შემომეყარა ყივჩაღისა“ და გიორგი ლეონიძის ლირიკის ვარსკვლავის, „ყივჩაღის პაემანის“ შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ამჯერად ყურადღება მინდა გავამახვილო ყივჩაღის, როგორც მოძალადის, სხვისი მამულის დაპყრობისადმი თავგანწირულის, ამბიციებით შეპყრობილი მტრის სახეზე.

ყივჩაღები, როგორც ცნობილია, თურქულენოვანი ტომები იყვნენ, რომლებიც მე-11 საუკუნეში ვოლგისპირეთიდან შავი ზღვის სანაპიროზე გადასახლდნენ. აღმაშენებელმა ცოლად შეირთო ყივჩაღთა ერთ-ერთი მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი. დავით აღმაშენებელმა, ასევე გარკვეული პოლიტიკური თუ საქვეყნო მიზნებიდან გამომდინარე, ორმოცი ათასი ყივჩაღი ჩამოასახლა საქართველოში. რა თქმა უნდა, მათი დამკვიდრება უკონფლიქტოდ არ მოხდებოდა, – უცხო ხალხის თავხედური და კადნიერი საქციელი, სხვის სახლში გაბატონების სურვილი და უხეშობა ძალზე აღიზიანებდა ქართველ ხალხს, ამ ისტორიულ რეალობას ნათლად ასახავს ხალხური „შემომეყარა ყივჩაღი“.

ეს სწორედ ის „ყივჩაღია“, რომელიც საუკუნეების მანძილზე უამრავჯერ შემოჰყრია ჩვენს წინაპარს, უსარგებლია მისი ტრადიციული სტუმართმოყვარეობით, ხელგაშლილობით, გულღია და უბრალო ხასიათით, „თავთუხის პურითა“ და „ხოხბის ხორცით“ კარგად გამძღარა, ბადაგიც დაუყოლებია, შემდეგ გაამპარტავნებულა, გადიდგულებულა და ცოლიც კი მოუთხოვია. მართალია, ამ კადნიერების მნახავი ქართველი წუთით დაბნეულა, მაგრამ, როდესაც „შესტირა საბრალო ქალმა, ვაი, ცოლს ცუდი ყმისასა“, მამაკაციც გამოფხიზლებულა და „მოზიდნა ვადას ხმლისასა“. ქართველი ასე ადვილად არ დათმობს მას, რაც თავისია, რაც „მისი წინაპრისია“, არ დათმობს მას, რაც საუკუნეების მანძილზე ნანახი და ნალოლიავებია. სწორედ ამიტომ დასრულდა ყივჩაღის სიცოცხლე ტრაგიკულად, მართალია, ზოგიერთ ვარიანტში ქართველიც იღუპება, მაგრამ ესეც რეალურია, ჩვენთვის უცხო არასდროს ყოფილა თავგანწირვა იმისათვის, რაც ძვირფასი და ღირებულია.

...ეწირებოდა სხვის ამბიციებს ქართველი კაცი, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც ის იყო, რომ სხვას არ უთმობდა მამულს საჯიჯგნად. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ლეონიძის ყივჩაღი, ხალხურისაგან განსხვავებით, მარადიული ტრფობის, სიყვარულისათვის მებრძოლი გმირის სიმბოლოა და მკითხველის სიმპათიას იმსახურებს, ის მაინც განწირულია, რადგან ზედმეტია, მესამეა, მას ეპოტინება, რაც სხვისია, „მაგრამ თვითონაც დაილეწება, დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად“. მტერი დაუნდობელია, შეუბრალებელია, ის იხიბლება ქართული ბუნებით, სადაც „ისევ ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა“, მაგრამ მისთვის მაინც უცხოა ქართული კულტურა და ისტორია, „მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი“. ეს სწორედ ის „კელაპტრიანი ტაძრებია“, რომელთა განადგურებისაკენ მუდამ ისწრაფოდა მტერი.

ყივჩაღის, როგორც მაცდური და ეშმაკი მტრის სახე, ცხადადაა გამოხატული გოდერძი ჩოხელის ლექსში „მე და ყივჩაღი“:

„მე რო ის მკვდარი მეგონა,
ის თურმე არ მომკვდარიყო,
შორით მიმზერდა, ფიქრობდა,
იქნება დრო დამდგარიყო...“

დიახ, მტერი ვერაგია, სწორედ მაშინ მოგეპარება, როცა არ ელოდები, როცა დასუსტებული და მკვდარი გგონია. ბოროტება ძლიერია და რთულია მისი განადგურება, ამოძირკვა. სწორედ ამიტომ გვმართებს ქართველ ხალხს ერთიანობა, რათა ძალა მოვიკრიბოთ, გავმხნევდეთ, ერთმანეთს სული და ხელი შევაშველოთ და მტერს „ვაი ნანა“ ვაძახოთ.

ისეთი მცირე ერისათვის, როგორიც ჩვენ ვართ, ამდენი მომხდურის დამარცხება ადვილი როდია, ყველაზე მეტად ქართველმა იცის, რომ ჩასაფრებული მტერი მუდამ სასურველ ჟამს ელოდება, რომ მასთან მარადჟამს ფხიზლად უნდა იყო, რადგან ზოგჯერ ისეთი დროც დგება, როცა ყველაფერი თავისი ჰგონია და შენ აღარც გეკითხება, გემეტება თუ არა მისთვის ის, რაც შენთვის ასე ძვირფასი და ფასდაუდებელია:

„პური კი აღარა მთხოვა,
პური ისედაც მისია,
ცხენი კი აღარა მთხოვა,
ცხენი ისედაც მისია...“

მაგრამ ყველაზე მტკივნეული მაინც ისაა, რომ ბოლოს „მამული მთხოვა, ვერ მივე, ის ჩემი წინაპრისია“.

აქ კი ლაშა გახარიას ლექსიდან ციტატას მოვიშველიებდი – „ვაი, რა ცუდი ყოფილა ქართველთან ცოლზე ცილობა“. დიახ, ჩვენ არ დავთმობთ მას, რაც საუკუნეების მანძილზე სასოებითა და რუდუნებით შემოგვინახეს ჩვენმა წინაპრებმა. ქართველს რომ ასე ადვილად გადაეცა მამული მოხეტიალე „ყივჩაღებისა“ და მოძალადე „ჯაყოებისათვის“, დღეს უძველესი ივერია მტვერწაყრილი და დამარხული იქნებოდა (ღმერთმა დაგვიფაროს!). საბედნიეროდ, ჩვენში არის ძალა, მუხტი, უნარი ბრძოლისა და რწმენა უფლისა, სწორედ ამ რწმენამ დაამსხვრია მონობის ბორკილები, გაუძლო ათასგვარ დამცირებასა და გაუბედურების მცდელობას, ამ რწმენამ მოგვიყვანა დღევანდელობამდე!

ლაშა გახარიას აზრით, საქართველო მაცდური ქვეყანაა, აქაური „ხორცი– ხოხბისა კი არა, პური – თავთუხის კი არა, ღვინო – მუხრანის კი არა... უმალ ბეწვი თმა მოგარჩენს, ურჩომიმც გჭირდეს იარა“. მიუხედავად ამისა, ყივჩაღი, ანუ მტერი ნანობს, რომ მისი ხელში ჩაგდება მოისურვა:

„ვაი, რა შარი ყოფილა,
ვაი, რა ზარი ყოფილა,
რა ბინდისფერი ყოფილა
ქართველის ცოლზე ცილობა“.

ვფიქრობ, აქ ყველაფერი ისე ცხადია, ისე ნათლადაა გამოხატული ქართველის თავდადება თავისი ქვეყნისადმი და მისი ბედი, ვინც შეეცილება, კომენტარები აღარცაა საჭირო. ერთს მაინც დავამატებდი, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მისი ძალა და კალთა იცავს ჩვენს ერს, ჩვენს სამშობლოს, სწორედ ამ ძალამ და ჩვენი წინაპრების თავდადებამ გვიხსნა და დაგვიცვა აქამდე, დღეს კი ისევ ღვთისმშობლის ლოცვა და ახალგაზრდა თაობის გამჭრიახი გონება დაგვიფარავს და დაგვიცავს ფარული თუ დაუფარავი მტრისაგან.

დაბოლოს, ისევ გოდერძი ჩოხელის სიტყვებს მოვიშველიებ: „იმედი მრჩება ღმერთისა, თან ჩემი პაპებისია“. ღმერთმა არ მოგვიშალოს ქართველ კაცს ღვთის რწმენა და იმედი!

ციცინო გოგაძე
გუმბათის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

ინფორმაცია

საერთაშორისო წარმატება

ყაზახეთის ჟაუტიკოვის მე-9 საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი მოიპოვა. ქალაქ ალმატიში გამართულ ოლიმპიადაში მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში ვ. კომაროვის სახელობის თბილისის 199-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის, ი. ვეკუას სახელობის თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის, ა. რაზმაძის სახელობის ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლისა და თბილისის დემირელის სახელობის კოლეჯის უფროსკლასელები მონაწილეობდნენ.

საქართველოს წარმომადგენლებმა ინდივიდუალურ და გუნდურ შეჯიბრებებში 5 ოქროს, 7 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ოქროს მედლები დაიმსახურეს: **გელა მაღალთაძემ** (მათემატიკა – კომაროვი), **გიორგი სვანაძემ** (მათემატიკა – კომაროვი), **აკაკი მარგველაშვილმა** (მათემატიკა – რაზმაძე), **თორნიკე მანძულაშვილმა** (ინფორმატიკა – ვეკუა) და **გიორგი გულიაშვილმა** (ინფორმატიკა – დემირელი);

ვერცხლის მედლები – **გიორგი გონაშვილმა** (მათემატიკა – კომაროვი), **ჯიმშერ** და **გიორგი სხირტლაძეებმა** (ინფორმატიკა – კომაროვი), **ნიკა ნადირაძემ** (ინფორმატიკა – კომაროვი), **ნიკოლოზ სვანიძემ** (ინფორმატიკა – კომაროვი), **სანდრო მალუძემ** (ფიზიკა – კომაროვი) და **სერგი ჩალაურმა** (ფიზიკა – კომაროვი);

ბრინჯაოს მედლები – **დავით ჯანჯალიამ** (ფიზიკა – რაზმაძე), **ზაურ მეშველიანმა** (მათემატიკა – კომაროვი), **ამირან მელიამ** (მათემატიკა – კომაროვი) და **დავით ცხადაძემ** (ფიზიკა – კომაროვი). გარდა ამისა, კომაროვის სახელობის 199-ე სკოლამ პირველი ადგილი მოიპოვა სკოლების გუნდურ საერთო რეიტინგში, ხოლო რაზმაძის სახელობის 41-ე სკოლამ კი – დიპლომი წარმატებული მონაწილეობისთვის.

საქართველოს გუნდის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. მინისტრის მოადგილის **ალუდა გოგლიჩიძის** განცხადებით, სამინისტრო ნიჭიერ და წარმატებულ მოსწავლეთა ხელშეწყობას და წახალისებას მომავალშიც გააგრძელებს.

იურისტის კონსულტაცია

– ვარ სერტიფიცირებული პედაგოგი, „მათემატიკა I-VI კლასი“. მიმდინარე სასწავლო წელს ვასწავლი მათემატიკას V-VI-X-XII კლასებში, მაქვს კვირეული დატვირთვა 19 საათი.

ამ პირობებით არ მეძლევა დანამატი 75 ლარი, როგორც სერტიფიცირებულს. ვალდებულია თუ არა დირექცია, დამაკმაყოფილოს I-VI კლასებში საათებით, როცა სკოლაში დაწყებით კლასებში საერთოდ არ არის სერტიფიცირებული მასწავლებელი.

– მოქმედი კანონმდებლობით, პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას, ასწავლის შესაბამის საგანს, შესაბამის კლასებში, სრული ან სრულზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში, მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი, ყოველთვიურად, 75 ლარის ოდენობით.

სერტიფიცირებულ პედაგოგს, რომელსაც აქვს შემდეგი სერტიფიკატი – „მათემატიკა I-VI კლასი“, სკოლაში საკმარისი საათების არსებობის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია, მისცეს სრული დატვირთვის საათები აღნიშნულ საგანსა და კლასებში.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სასერტიფიკაციო დანამატის მიღების წინაპირობა – სრული ან სრულზე მეტი დატვირთვა, ასევე უნდა გადაიხედოს სერტიფიკატის კატეგორიები სასერტიფიკაციო დანამატის მიცემასთან დაკავშირებით. დანამატი პედაგოგს უნდა მიეცეს სერტიფიცირებულობიდან გამომდინარე და არა საათობრივი დატვირთვის ან სერტიფიკატის კატეგორიების მიხედვით.

– დირექტორს ან მის მოადგილეს, რომლებიც იმავდროულად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან, ეკუთვნით თუ არა პენსია ხელფასთან ერთად?

– თუ დირექტორი ან მისი მოადგილე, რომელიც იმავდროულად ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას და ატარებს გაკვეთილებს, საპენსიო ასაკისაა, ვერ მიიღებს ერთდროულად ხელფასს და პენსიას, ვინაიდან იგი, როგორც დირექტორი ან მოადგილე, გამონაკლისი სახით, უფლებამოსილია ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას. დირექტორის ან მისი მოადგილის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილებების განხორციელება, რაც გამორიცხავს ხელფასთან ერთად პენსიის მიღებას.

– სკოლის საძმეთა მმართველი შეიძლება თუ არა, ამავე დროს, იყოს კლასის ხელმძღვანელი?

– კლასის დამრიგებელი არის პედაგოგი, რომელიც უნდა ასწავლიდეს თავის სადამრიგებლო კლასს.

რეკომენდაცია

3.3 „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში მიზანშეწონილია მკაცრად განისაზღვროს მანდატურის ახალი როლი და ფუნქციები, მისი უფლებამოსილებები უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სკოლებში წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით. მანდატურს უნდა ჩამოერთვას სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლის ფუნქცია, ასევე, სკოლის სტრუქტურული ერთეულების სხდომებზე დასწრების ფუნქცია. ამასთანავე, საჯარო სკოლებს უნდა მიეცეთ თავისუფლება ნებაყოფლობითობის საფუძველზე გააფორმონ ხელშეკრულებები მანდატურის სამსახურთან.

დასაბუთება: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, მანდატური სარგებლობს განუზომელი უფლებამოსილებებით, რომელიც სცილდება უსაფრთხო სკოლის კონცეფციას და სკოლებში წერიგის დაცვას, მას აქვს შინაგანაწესის შესრულების კონტროლის ფუნქცია, რომელიც მოიცავს მის კონტროლს დირექციაზე, მასწავლებელზე, მოსწავლესა და მშობელზე, სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესზე, მანდატური ითავსებს სკოლის დირექციის ფუნქციას, ვინაიდან სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლი წარმოადგენს დირექციის და არა მანდატურის კომპეტენციას. შეუზღუდავი უფლებემისილებებიდან გამომდინარე, მანდატური ესწრება სკოლის სტრუქტურული ერთეულების სხდომებს და აყენებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, ესწრება მშობელთა კრებებს, შეუზღუდავად შედის კალასებში საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, ამოწმებს პედაგოგთა მიერ საკლასო ჟურნალში მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვიანობას, საკითხის ობიექტური შესწავლის გარეშე, ზეპირი ჩვენების, ხშირად დაინტერესებული პირების დასმენების საფუძველზე უფორმებს მასწავლებლებს დარღვევის აღრიცხვის ფურცელს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. მანდატური ერევა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობაში და აკონტროლებს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სპმთპ მიიჩნევს, რომ მკაცრად უნდა განისაზღვროს მანდატურის კომპეტენცია, მანდატურს უნდა ჩამოშორდეს შინაგანაწესის შესრულების კონტროლის ფუნქცია და მისი უფლებამოსილებები უნდა შემოიფარგლოს სკოლებში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვით.

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა
თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სპორტული სეზონი ფაქტებსა და სამომავლო პერსპექტივებში

2012 წლის სპორტული სეზონი საქართველოს საგანმანათლებლო სექტორისთვის მეტ-ნაკლებად წარმატებული გამოდგა, მაგრამ თავმოსაწონებელი უფრო საერთაშორისო არენაზე გვაქვს, ვიდრე საშინაოზე. საქმე ისაა, რომ უცხოურ პირველხარისხოვან შეჯიბრებებში ჩვენმა ახალგაზრდა ათლეტებმა შარშანაც მოიპოვეს რამდენიმე ყურადსაღები გამარჯვება, მაგრამ საკუთრივ ქვეყნის სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში სპორტი მაინც ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე; მას მაინც არ ექცევა იმ დონის ყურადღება, რომ სერიოზულ გარღვევაზე და საუნივერსიტეტო/სასკოლო სპორტის აღორძინებაზე ვილაპარაკოთ.

შარშანდელ სეზონში მეტ-ნაკლებად გაგრძელდა ბოლო წლებში „მიძინებული“ სპორტის სახეობების გამოღვიძება, რაც ლამის მთლიანად მოსწავლე ან სტუდენტი სპორტსმენების ხარჯზე მოდის, მაგრამ მათი მომზადების მთელი სიმძიმე იმ სახეობათა ფედერაციებზე გადავიდა, სკოლა-უმაღლეს სასწავლებლებს კი ამაში წვლილი თითქმის არ მიუძღვით.

ახალგაზრდა სპორტსმენთა წარმატებიდან, უპირველესად, დავასახელებთ 16 წლის თბილისელ მოცურავე **ირაკლი ბოლქვაძეს**, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველმა შეძლო საკუთარი შრომით ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება. მართალია, ოლიმპიადაზე მისგან წარმატებას არავინ ელოდა და არც შემოუთავაზებია სიურპრიზი, თუმცა ამდენი წლის შემდეგ პირველად ჩვენით რომ მოვიპოვეთ საგზური და „ველური ბარათის“ იმედად აღარ დავრჩით, ესეც წინსვლაა. თან ლონდონში ბოლქვაძემ ერთი ეტაპი გაიარა, ანუ არც ოლიმპიელ ტურისტად ჩასულა. საინტერესოა, რომ შარშანდელი შედეგების მიხედვით, ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ ბოლქვაძეს „ველური ბარათი“ ისედაც გამოუყო, თუმცა ქართული მხარე სპორტსმენს ამას უმალავდა – მაშინ ჯერ კიდევ რჩებოდა რამდენიმე სალიცენზიო ტურნირი და იმედოვნებდნენ, რომ მოცურავე შედეგებს კიდევ უფრო მოუმატებდა და თავისით დაიმსახურებდა საგზურს. საბოლოოდ ასეც მოხდა.

გაგვაოცეს მხატვრულად ტანმოვარჯიშეებმა, როცა ნიჟნი ნოვგოროდში, ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე უკან ჩამოიტოვეს უკრაინისა და ბულგარეთის დარი ქვეყნები და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. დამოუკიდებლად არსებობის ისტორიაში ესეც პირველად მოხდა, ისტორიული მედალი კი **გაბრიელა ხვედელიძემ**, **სალომე ფაჟავამ** და **სოფიო ფარულავამ** მოიპოვეს. ამასთან ხვედელიძე გურზებით ვარჯიშშიც მესამეზე გავიდა. შარშანაც გააგრძელეს წარმატებული გამოსვლა მოფარიკავეებმა, რაც, ამჯერად, ძირითადად **ბექა ბაზაძის** წილად მოდის – დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ასევე პირველად, 23-წლიანთა შორის ის ევროპის მესამე პრიზიორი გახდა.

შარშანდელი სეზონის მიღწევებიდან აუცილებლად უნდა აღინიშნოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ჩინებული გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე. **ვასილ მაისურაძის** დამოძღვრილებმა ჯერ კიდევ თბილისში გამართულ ელიტ-რაუნდის შესარჩევ ტურში გაიკვირვეს ყველა – შინ თუ გარეთ, როცა ფინალურ ეტაპზე გავიდნენ, იქ კი საფეხბურთო სამყაროს, ნახევარფინალში თამაშით, მორიგი სიურპრიზი შესთავაზეს. აქამდე არც დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს მიუღწევია ამხელა წარმატებისთვის.

ფაქტებს თუ გავყვებით, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, მშვილდოსნობაში, ტყვიის სროლასა და ზოგიერთ სახეობაში მედლების თუ არა, გარკვეული პროგრესის აღნიშვნა კიდევ შეიძლებოდა; აქ არაფერს ვამბობთ საჭიდაო სახეობებში – ძიუდოში, სამბოში, თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულში ჩვენი მოზარდების მიერ მოპოვებულ მართლაც დიდ წარმატებებზე, რადგან ამ სახეობებში ეს ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა ეს წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე მოდის, საკუთრივ ქვეყნის შიგნით მოზარდთა და ბავშვთა სპორტში მასობრივად ჩაბმაზე, ამ კუთხით სპორტული მოძრაობის გამოცოცხლებაზე ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო. სპორტისა თუ განათლების სამინისტროებს ამ მიმართულებით კვლავაც ზღვა სამუშაო ელოდებათ, უპირველესად, სკოლებში სპორტის გაკვეთილების რეორგანიზაციის კუთხით – დღევანდელი მოდელი რომ შორს იდგა სასურველისგან, ეს გარედანაც კარგად ჩანდა, თუმცა ზეწოლის შიშით მასწავლებლები ნაკლოვანებებზე ღიად ვერ საუბრობდნენ. ეს მხოლოდ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ დაიწყეს.

სკოლებში კვლავაც დიდია მოთხოვნილება სპორტზე, მაგრამ არაა შერჩეული სათანადო მოდელი. ვფიქრობ, სასკოლო კლუბ „მორკინალის“ დარი გაერთიანების შექმნის სურვილი ბევრგან ექნებათ, რაც მოსწავლეებისთვის კარგი გაკვეთილია. იმავე „მორკინალის“ მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში დიდი ხალისით მონაწილეობენ ის დედაქალაქური სკოლები, რომლებიც დამფუძნებელთა შორის არ შედიან, და არათბილისურებიც. უბრალოდ, რეგიონებიდან ჩამოსვლა და აქ დარჩენა, განსაკუთრებით გუნდურ სახეობებში დიდ ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული – მოსწავლეებში ფულის აგროვება უკვე საკანონმდებლო ბარიერს აწყდება. ასევე მოსაწესრიგებელია საკანონმდებლო ბაზა მაღალი მიღწევების სპორტში ჩაბმულ სტუდენტ თუ მოსწავლე ათლეტებთან დაკავშირებით, რომლებსაც შეჯიბრებებზე თუ შეკრებებზე გატარებული საათები საპატიო გაცდენად არ ეთვლებათ. ასეთივე დღეში არიან სამხედრო სამსახურში გაწვეული სპორტსმენებიც – კანონი მათ არანაირ შეღავათს არ აძლევთ და ჯარში ყოფნის პირობებში, ფაქტობრივად, ჩამოშორებულნი არიან სპორტს.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ საუნივერსიტეტო სპორტი, რომელიც კი ცოცხლობს, მაგრამ ამის იქით დიდად ვერ მიდის. ტარდება უნივერსიადებიც, მაგრამ საუნივერსიტეტო სპორტი დიდ სპორტს ვერ აძლევს სათანადო შევსებას. არადა, ამერიკასა თუ დასავლეთის სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მომავალ დიდ ვარსკვლავთა ლომის წილი საუნივერსიტეტო სპორტზე მოდის.

საქართველოში შინაურ ასპარეზზე შარშანდელი წლის მთავარ მოვლენად სპორტის აკადემიის აღდგენის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას მივიჩნევთ. მოგეხსენებათ, ეს აკადემია წინა ხელისუფლებამ გააუქმა, მისი ფუნქციები კი ილიას უნივერსიტეტში შექმნილ სპორტის კათედრას დააკისრა. ის რომ ამხელა დავალებას თავს ვერ გაართმევდა, იმთავითვე ჩანდა – მთელი ქართული სპორტისთვის წელიწადში 20 მწვრთნელი ზღვაში წვეთიც არაა. უმეტეს სახეობებში მიღება საერთოდ არ ხდებოდა! ახლა უკვე გადაწყდა, რომ აკადემია აღდგება, ოღონდ გაფართოებული სტატუსით და ამიერიდან სპორტის უნივერსიტეტი დაერქმევა. სამთავრობო სხდომაზე უკვე ორჯერ იმსჯელეს ამ საკითხზე და მიიღეს დადგენილება აღდგენისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნის შესახებ, გამოიყო კომისიაც, ოღონდ ჯერ ბიუჯეტი და ამგვარი წვრილმან-მსხვილმანი დეტალები დამუშავების პროცესშია. სამაგიეროდ, მუშა ჯგუფი უკვე შეუდგა საქმიანობას. თბილისში სტუმრად შოტლანდიელი ექსპერტი **ჩარლი რებერნიც** იმყოფებოდა, რომელიც საკუთარ სამშობლოში სასკოლო სპორტის ფედერაციის საერთაშორისო წარმომადგენელი

გაბრიელა ხვედელიძე

ბექა ბაზაძე

სალომე ფაჟავა

ირაკლი ბოლქვაძე

17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები

და იქაურ პარლამენტში ინტერპარტიული სპორტული ჯგუფის წევრია. მან კონსულტაციები გამართა სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან სპორტის განვითარების საკითხებზე, რაშიც ერთ-ერთი უმთავრესი თბილისში სპორტის უნივერსიტეტის გახსნა იყო. ქართული მხარე ცდილობს, ეს საკითხი მალე მოაგვაროს, რათა მარტში სასწავლებელმა აკრედიტაცია გაიაროს, ზაფხულში მისაღები გამოცდები ჩაატაროს და სექტემბერში უკვე სტუდენტთა პირველ ნაკადს უმასპინძლოს.

უკვე გადაწყვეტილია, რომ უნივერსიტეტი სამსაფეხურიანი და 9-წლიანი იქნება. პირველი საფეხური ოთხწლიანი ბაკალავრიატია, მეორე – ორწლიანი მაგისტრატურა და მესამე – სამწლიანი დოქტურანტურა. ცდილობენ, ახალი ტიპის სასწავლებელი სრულად მოარგონ ბოლონიის პროცესით გათვალისწინებულ სტანდარტებს და ევროპულ მოდელს. ამიტომ ის, მწვრთნელთა თუ სპორტსმენთა მომზადების გარდა, სამეცნიერო კვლევებითაც იქნება დაკავებული, როგორც დასავლეთის წამყვან სპორტულ-სამეცნიერო ცენტრებში ხდება. სპორტი ხომ, როგორც ცხოვრების ყველა სფერო, ყოველდღიურად ვითარდება, იცვლება, ასევე იცვლება ადამიანის შესაძლებლობები. ამ ყველაფერს კი სერიოზული ანალიზი, კვლევა, ყოველდღიური დაკვირვება სჭირდება, რაც დასავლეთში სწორედ ამგვარ სასწავლო დაწესებულებებში ხდება.

ასევე გადაწყვეტილია, რომ ახალ უნივერსიტეტში სპორტული ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც იქნება.

ირაკლი თავაძე

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



სამი ტომის ფასი 21 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძართველოში
3. გარეული ცხოველები საძართველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საძართველოში
7. საძართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგაძიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >